



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო  
STATE PROCUREMENT AGENCY

## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

# სარჩევი

საკონკურსო განცხადება.....3

ტექნიკური დავალება ..... 6

ხელშეკრულების პროექტი ..... 8

საკადასტრო ნახაზი..... 10

## საკონკურსო განცხადება

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის ქუჩა) ქ. N8-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარს.
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
  - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.  
შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 21 ივნისს.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 28 ივნისის 18:00 საათზე.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 28 ივნისის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №28.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
14. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.
15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;  
შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.
  - გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი, განმარტებითი ბარათი;
  - კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ადმინისტრაციული შენობის გარე იერსახის, ცენტრალური შესასვლელის, სასწავლო ცენტრის (სადაც შესაძლებელია არანაკლებ 50 ადამიანის ერთდროულად განთავსება), მოქალაქეთა მისაღების (საკონსულტაციო ოთახის, სადაც შესაძლებელია არანაკლებ 10 ადამიანის ერთდროულად განთავსება) და სააგენტოს თანამშრომლების სამუშაო ოთახის დიზაინერული გადაწყვეტა და ეზოს კეთილმოწყობის არქიტექტურული გადაწყვეტა.  
შენიშვნა: სასურველია შენობის გარე ფასადის არქიტექტურული გადაწყვეტა ითვალისწინებდეს ცენტრალური შესასვლელის მთლიანი პერიმეტრის (სამივე სართული) მინიმალურ მოწყობას, ხოლო დანარჩენი ფასადის ხით მოწყობას.
  - ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის არანაკლებ სამი არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასშალასთან ერთად);
  - ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
  - ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
  - რეკვიზიტები;
16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (18000 ლარი) არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.7

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 20 დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.
22. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.
23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
24. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: კონსტანტინე გუგეშაშვილი ტელ: 380604/877244426; ქ. თბილისი, პეკინის ქ. №28.

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის) ქ. N8-ში მდებარე 3 სართულიანი შენობის და დამხმარე ნაგებობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, ინტერიერის დიზაინისა და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტისაგან.

საპროექტო სამუშაოების საანგარიშო ფართი

მიწის ნაკვეთი ————— 2165 კვ.მ.

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი —2096.95 კვ.მ

აქედან: სარდაფი	—————	140.35	კვ.მ
I სართული	—————	674.24	კვ.მ
II სართული	—————	642.55	კვ.მ
III სართული	—————	631.17	კვ.მ
დამხმარე ნაგებობა	—————	8.64	კვ.მ

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. ტოპო გეგმა;
2. ვერტიკალური გეგმარება;
3. არქიტექტურული ანაზომი (ფასადები, გეგმები, ჭრილები, დეფექტური აქტი);
4. არქიტექტურული პროექტი;
5. კონსტრუქციული პროექტი;
6. გათბობა, ვენტილაცია, კონდიციონირება, სანტექნიკა;
7. ელექტრო ტექნიკური პროექტი (მოიცავს ასევე, ტერიტორიის (ეზოს) და შენობის გარე განათებას);
8. სუსტი დენების პროექტი;
9. მშენებლობის ორგ. პროექტი;
10. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
11. ხარჯთაღრიცხვა;

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარს.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე კ ტ ი

ქ. თბილისი

— 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ტატო ურჯუმელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის ქუჩა) ქ. N8-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. (71200000 – CPV)

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს— \_\_\_\_\_.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის 28.

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2011 წლის \_\_\_\_\_.



## **6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## **7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება**

- 7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს —————.
- 7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
- 7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

- 8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
- 8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის --- — და მოქმედებს 2011 წლის ————— ჩათვლით.

#### შემსყიდველი:

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო  
მის: ქ. თბილისი, პეკინის 28  
საიდენტიფიკაციო კოდი 204428510  
ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრ. ფილიალი  
ბანკის კოდი: REPLGE22  
ა/ა # GE52BR0000010591718543

#### მიმწოდებელი:

-----  
სააგენტოს თავმჯდომარე  
ტატო ურჯუმელაშვილი



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო  
STATE PROCUREMENT AGENCY

საკადასტრო აღომწოთი ნახაზი  
CADASTRAL MEASURING DRAWING



მისამართი: ქ. თბილისი, ბაღდათის ქ. № 8  
Address: №8 BAGDATI str., c.TBILISI

შემსრულებელი / Made by

რონი და  
კომპანია



**RONI &  
COMPANY**

ქ. თბილისი,  
ა. ყაზბეგის გამზ. №43



Tel: (+995) 99 574 556; (+995) 95 242 600  
E-mail: roni-com@hotmail.com

2010 წელი/Year

## საქმეში წარმოდგენილია ობიექტის

- ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;
- მღებარეობის სიტუაციური ნახაზი
- ორთოფოტო
- შენობა-ნაგებობის შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი

## ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთი	2165 კვ.მ;
შენობ-ნაგებობათა სართო ფართი	2096.95 კვ.მ;
აქედან ძირითადი შენობა:	
სარდაფი	140.35 კვ.მ;
I სართული	674.24 კვ.მ;
II სართული	642.55 კვ.მ;
III სართული	631.17 კვ.მ;
დამხმარე ნაგებობა	8.64 კვ.მ;

შემსრულებელი / Made by

**რონი** და  
კომპანია



**RONI &  
COMPANY**


ქ. თბილისი,  
ა. ყაზბეგის გამზ. №43

Tel: (+995) 99 574 556; (+995) 95 242 600  
E-mail: roni-com@hotmail.com



მიწის ნაკვეთის სიტუაციური ნახაზი

პლან 01



მიხატვითი: თბილისი, ალექსანდრე მ. №8  
 ფართობი: 2165 კვ.მ.

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო  
 კატეგორია:


პირდაპირი აღნიშვნები

- ნაკვეთის საკონსტრუქციო საზღვარი
- შენიშნული, შენობის მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ქვედაპირი ნაგებობა
- სამშენებლო

0 00 1000 84

**შპს „რონი & კომპანია“**  
 ალ. შაზნავაძის №43  
 ტელ: 899 240 00

საკონსტრუქციო აღმშენებელი კომპანია	ს. ნუშუაძე
დაინტერესებული პირი	სამართლებრივი შიშისგან დაცვის სააგენტო



მიწის ნაკვეთის საკადასტრო ავტომატი ნახაზი *გვერდი*







48850C

48850C

48850C

48850C


მიწის ნაკვეთი: <b>თბილისი რაიონის ქ. აზ</b>	ფართობი: <b>2165 კვ.მ.</b>
დავნიშნულ მკა: <b>არასასოფლო-სამეურნეო</b>	კატეგორია:
<p>პირდაპირი აღნიშვნები</p> <p>— ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი</p> <p> შენობა-ნაგებობის ნაგებობის საფუძვლიანი ნაწილი</p> <p> შენობა-ნაგებობის ნაგებობა</p> <p> სარკინიგზო</p>	<p><b>შპს „რონი &amp; კომპანია“</b></p> <p>აღ. შპს-ის №43</p> <p>ტელ: 899 2426 00</p>
საკადასტრო აღწერაზე უზღვევარისი პირი	ს. ბუბუაძე
დაინტერესებული პირი	საკადასტროს უმცირესი საბიურო



# სარდავის სართული


H = 3.25 მ

საერთო ფართი 140.35 მ<sup>2</sup>




შენიშვნის შიდა აკომპლექტი ნახაზი მ 1:100

დამკვეთი	საპ. შიდა ნაგებობის	შ.პ.ს. "სადავის სართული"
შენიშვნა	ა. თაბაგისი, პალატის, მ. №8	დირექტორი



შენიშვნის შიდა ახომავითი ნახაზი მ 1:150				
დაამუშავა	საპ. შიგნის ხაზგეგმვა	შ.პ.ს. "საქსტრედა" შპს		
შენიშვნის მონაწილე	ა. თაბუაძე, ა. ლომიძე, ა. წიგნაძე I სართული	დამამუშავებელი		ს. ბერიძე
		თარიღი		





II სართული  
H = 3.00 მ

სამართო ფართი 642.55 მ²


85.54 m²  
H = 3.00 მ

შენიშვნის შიდა ახორციელების ნახაზი მ 1:150

დამკვეთი	საქ. შიდა ნაგებობების	შ.პ.ს. "რეზონანსი"		
შენიშვნის სიხარული	ა. თაბაგაძის, დავითის ქ. N8 II სართული	დამამუშავებელი		ს. ნი
		თარიღი		

III სართული  
H = 2.93 მ

სამართო ფართი 631.17 მ<sup>2</sup>





შენიშვნის შიგა აკრძივითი ნახეზი მ 1:150				
დამკვეთი	სად. შიგნისის საბიუროლო		შ.პ.ს. "ტენი და კომპანია"	
შენიშვნის მისამართი	ქ. თბილისი, კარლანის ქ. N8 III სართული	დირექტორი		ს.
		თარიღი		

# ღამხმარე ნაგებობა

H = 2.90 მ


საერთო ფართი 8.64 მ<sup>2</sup>



<b>შენიშვნის შიდა აზომვითი ნახაზი მ 1:100</b>			
ღამხმარე	სამ. შინაგანი ნაგებობა	შ.პ.ს. "რონი და კომპანია"	ს. ბუქუაძე
შენიშვნის ბილანტი	ქ. თბილისი, ბაღდათის ქ. № 8 ღამხმარე ნაგებობა	დირექტორი თაბაჩი	



1:500



<p>მისამართი: თბილისი რაიონის ქ. №8</p>		<p>ფართობი: 2165 კვ.მ.</p>	
<p>დანიშნულა: არასასოფლო-სამეურნეო</p>		<p>კატეგორია:</p>	
<p>კორექტივი აღნიშვნები</p> <ul style="list-style-type: none"> <li> საკადასტრო საზღვარი</li> <li> შიშველი მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო</li> <li> მშენებარე ნაგებობა</li> <li> სერვისები</li> </ul> <p style="text-align: right;">ს.ს. UTM, WGS 84</p>		<p><b>შპს „რონი &amp; კომპანი“</b></p> <p>აღ. მუშაგის №43</p> <p>ტელ: 899 24 26 00</p>	
<p>საკადასტრო აღწერის უზღუდვების პირობები</p>		<p>ს. ბუკაძე</p>	
<p>დაინტერესებული პირი</p>		<p>საკადასტროს შიშველი საინჟინერო</p>	



მიწის ნაკვეთის მისამართი	ფართობი	დანიშნულება
თბილისი. ბაღდათის ქ. №8	2165	არასახოვლო


შენიშვნა ნაკვეთის რიგითი №	დანიშნულება	მდებარეობა (შშენებარე, აშენებული)	სართულიანობა	ფართობი	განაშენიანების ფართი																				
01	არასაცხოვრებელი	აშენებული	3		747																				
02	არასაცხოვრებელი	აშენებული	1		12																				
03	არასაცხოვრებელი	აშენებული	1		65																				
<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 20%;">მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები /შესაკუთრებები/</td> <td style="width: 40%; text-align: center;">ა რ ს ე ბ ი ა</td> <td style="width: 10%;">საკადასტრო აღწერაზე დაშსწრე პირები</td> <td style="width: 30%; text-align: center;">სახელი, გვარი</td> </tr> <tr> <td>1</td> <td style="text-align: center;">გზა</td> <td>1</td> <td style="text-align: center;">ს. გუტუაძე</td> </tr> <tr> <td>2</td> <td style="text-align: center;">გზა</td> <td>2</td> <td></td> </tr> <tr> <td>3</td> <td style="text-align: center;">გზა</td> <td>3</td> <td></td> </tr> <tr> <td>4</td> <td style="text-align: center;">დაუდგენელი</td> <td>4</td> <td></td> </tr> </table>						მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები /შესაკუთრებები/	ა რ ს ე ბ ი ა	საკადასტრო აღწერაზე დაშსწრე პირები	სახელი, გვარი	1	გზა	1	ს. გუტუაძე	2	გზა	2		3	გზა	3		4	დაუდგენელი	4	
მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები /შესაკუთრებები/	ა რ ს ე ბ ი ა	საკადასტრო აღწერაზე დაშსწრე პირები	სახელი, გვარი																						
1	გზა	1	ს. გუტუაძე																						
2	გზა	2																							
3	გზა	3																							
4	დაუდგენელი	4																							

დაინტერესებული პირი	პირადი ნომერი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი: შპს „რონი და კომპანია“					
მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი ალ. ყაზბეგის №43					

საკადასტრო აღწერის თარიღი:

საკადასტრო აღწერაზე  
უფლებამოსილი პირი  
დაინტერესებული პირი

  
(ბელომონა)  
  
(ბელომონა)



ბეჭდის ფორმენტის ადგილი  
(ფორმული პირის შემთხვევაში)